

სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

დაწყებითი კლასის მასწავლებლის

ლია დავითაძის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

მხატვრული ტექსტის გაგება- გააზრების უნარის განვითარება
ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე II კლასში

ბათუმი 2019

სარჩევი

შესავალი.....	2
თემის აქტუალობა	2
პრობლემა და საკვლევი საკითხი	3
<i>კვლევის მიზანი</i>	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
მეთოდოლოგია	15
<i>კვლევის გეგმა</i>	15
მონაცემთა ანალიზი.....	17
პირველადი კვლევის შედეგები.....	20
ინტერვენციები	21
<i>I ინტერვენცია</i>	21
<i>II ინტერვენცია</i>	23
<i>III ინტერვენცია</i>	24
ინტერვენციების შეფასება.....	26
დასკვნა	27
დანართები.....	29
გამოყენებული ლიტერატურა.....	35
რეფლექსია	36

შესავალი

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია. ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებლად გვჭირდება წიგნიერი მომავალი თაობები, წიგნიერების დონის ამაღლება დაწყებითი კლასებიდან უნდა დავიწყოთ. პატარებში წიგნიერების დონის ამაღლება კი დამოკიდებულია ტექსტის გაგება-გააზრებასთან. და, სწორედ ეს ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის უფროსი მასწავლებლის, ლია დავითაძის პედაგოგიური კვლევის ანგარიშს თემაზე: „მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე II კლასში“.

თემის აქტუალობა

ბავშვების ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რასაც ისინი სკოლაში სწავლისას იძენენ კითხვის უნარია, გაგება-გააზრება კი კითხვის ძირითადი დანიშნულებაა. გაგება-გააზრება არის იმგვარი სააზროვნო ინტერაქცია ტექსტსა და მკითხველს შორის, რომლის შედეგია ტექსტში მოცემული შინაარსის კონსტრუირება მკითხველის ცნობიერებაში. როცა გაგება ეფექტურია, მკითხველს ღრმად ესმის ავტორის მიერ გადმოცემული სათქმელი, რომ მას შეუძლია: წაკითხულის გონებაში წარმოდგენა, ვარაუდების ჩამოყალიბება, დასკვნების გამოტანა, ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის შეჯამება და შეფასება, შეკითხვების დასმა, შედარება, კავშირების გაბმა, წაკითხული იდეების სხვებისთვის გაზიარება და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება. და ეს ყოველივე კი ხელს უწყობს წიგნიერების დონის ამაღლებას. სამწუხაროდ, რომ გადავხედოთ საერთაშორისო კვლევის შედეგებს ნამდვილად არ გვაქვს სახარბიელოდ საქმე.

საერთაშორისო კვლევის (PIRLS- Progress in international Reading Literacy study) შედეგებით საქართველოში წიგნიერების დონე მოზარდებში დაბალია. PIRLS-ის კვლევაში საქართველომ პირველად 2006 წელს მიიღო მონაწილეობა, კვლევა ყოველ 5

წელიწადში ერთხელ ტარდება. 2006 წელთან შედარებით 2016 წლის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში წიგნიერების დონე 4 %-ით გაუმჯობესდა, თუმცა კვლავ ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო ქულას 12 ერთეულით. „ეს ყველაფერი საგანგაშო ციფრია“ - ვკითხულობთ edu.aris.ge - ზე. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების შემდეგ ალბათ, ყველა მასწავლებლის მოლოდინი იყო, რომ წიგნიერებასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდებოდა, რადგანაც ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მოთხოვნა გახდა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: „დაწყებითი საფეხურის მისიაა; ა; ბ) საბაზისო უნარების -წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი II, სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები, მუხლი 4. დაწყებითი საფეხურის მისია.). ყოველივე ამის შემდეგ წიგნიერების პრობლემა ისევ დგას სკოლებში.

დღეს სკოლის მთავარი დანიშნულებაა წიგნიერი თაობების აღზრდა, რადგანაც ქვეყანას სჭირდება კრიტიკულად მოაზროვნე ახალი თაობა. წიგნიერების დონის ამაღლება კი უნდა დავიწყოთ დაწყებითი კლასებიდან და მე მიმაჩნია, რომ სწორედამ მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებით.

პრობლემა და საკვლევი საკითხი

როგორც უკვე ზემოთ ავლინებ, მე ვმუშაობ სსიპ ქ. ბათუმის №6 საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების, კერძოდ, II^ბ კლასის მასწავლებლად. წაკითხულის გაგება-გააზრების პრობლემა ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში მუდმივად იჩენდა თავს, მაგრამ წელს პარალელურად დავიწყე მუშაობა სსიპ ქ. ბათუმის №8 საჯარო სკოლის IV^ბ კლასში. აღმოჩნდა, რომ წაკითხულის გაგება-გააზრების პრობლემა IV კლასის მოსწავლეებშიც დგას, და უფრო მეტიც, მე ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად მაქვს საუბრები ორივე სკოლის მაღალი კლასის პედაგოგებთან, უმრავლესობამ დიდი გულისტკივილით აღნიშნა, რომ მაღალ კლასებშიც ხვდებათ ეს პრობლემები. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ

ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა დგას განსაკუთრებით არქაული ტექსტების, პოემების სწავლებისას, მათემატიკის მასწავლებლებმა კი ისაუბრეს, თუ როგორ უშლის ხელს ტექსტის გაგება-გააზრების უნარის არქონა მოსწავლეებს მათემატიკური ამოცანების ამოხსნაში, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლებმა კი აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს უჭირთ ტერმინებისა და ცნებების დამახსოვრება. ყოველივე ამან დამაფიქრა, რომ მოსწავლეებს გაგება-გააზრების უნარი რაც შეიძლება დაბალ კლასებში უნდა ჩამოვუყალიბოთ, რადგანაც დაწყებითი საფეხური მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვის, როგორც მკითხველის ჩამოყალიბებაში და მაღალ კლასებში რომ იგივე პრობლემის წინაშე არ დადგნენ. გაგება-გააზრების უნარის განვითარებაზე ვერ დავიწყებდი მუშაობას თუ არ მეცოდინებოდა ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზები. ოქტომბრის თვის დასაწყისშივე შევუდექი საქმეს.(სამუშაო გეგმა იხილეთ დანართში)

პრობლემის გამოსაკვლევად გამოვიყენე ისეთი მეთოდები,რომლებიც ნათელ სურათს მომცემდა კვლევის პრობლემის დასადგენად და საჭირო ინტერვენციების ჩასატარებლად. ასეთებია: კითხვის პროცესზე დაკვირვება,გასაუბრება, მორბენალი ჩანაწერები, ტესტები,დავალებების ანალიზი.(ტესტის ნიმუშები იხილეთ დანართში). სხვადასხვა აქტივობებზე დაკვირვებამ აჩვენა,რომ მოსწავლეების უმრავლესობამ თითქოს კარგად იცის მხატვრული ტექსტის შინაარსი, შეუძლიათ თანმიმდევრობით თხრობა,მარტივ კითხვებზე პასუხების გაცემა, მაგრამ უჭირთ ნაწარმოების თემის, იდეის განსაზღვრა, ტექსტიდან აზრის გამოტანა, ვერ ხვდება ავტორს ამ ნაწარმოებით რისი თქმა სურს ჩვენთვის. რატქმაუნდა ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არ არის საფუძვლიანი ცოდნა,ეს ზედაპირული წარმოდგენაა ტექსტის ირგვლივ. ეს პრობლემა კი მიუთითებს იმას, რომ ჩემს მოსწავლეებს არ აქვთ სათანადოდ განვითარებული მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი. და, სწორედ ჩემს საკვლევ საკითხს წარმოადგენს „**მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე II^ბ კლასში.**“

კვლევის მთავარი კითხვაა : როგორ განვითარო II^ბ კლასის მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის კითხვისას გაგება-გააზრების უნარი?

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემის სავარაუდო მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ტექსტის გაწაფულ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ლექსიკური მარაგის სიმწირე
- მოტივაციის ნაკლებობა, ან არარსებობა
- მშობელთა დაბალი ჩართულობა წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაში
- კითხვის გაგება-გააზრების სტრატეგიების არ ქონა
- მიწოდებული ტექსტის სირთულე.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული:

გამართულია კითხვა თუ ის მიმდინარეობს უშეცდომოდ, გაბმულად, სათანადო ინტონაციითა და სასვენი ნიშნების გათვალისწინებით. გამართული კითხვისას მკითხველი ჩერდება სასვენი ნიშნებთან, იყენებს ინტონაციას, პაუზებსა და მახვილებს, რაც მას ეხმარება ტექსტის გაგება-გააზრებაში. თუ გაწაფული არ არის კითხვა მაშინ მკითხველი მეტ ყურადღებას ანდომებს თითოეული სიტყვის, ან წინადადების ამოკითხვას და ვერ ახერხებს ტექსტის გაგება-გააზრებას.

ლექსიკური მარაგი არის გონებაში არსებული სიტყვების ერთობლიობა. ლექსიკური მარაგი წაკითხული ტექსტების გააზრების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორია. თუ მოსწავლემ არ იცის ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა შესაბამისად უჭირს ტექსტის გაგება-გააზრება.

მოტივაციას სწავლა-სწავლების პროცესში დიდი წვრილი მიუძღვის. სწავლა და კითხვა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისაკენ არის მიმართული. მასწავლებლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა მხატვრული ტექსტის მიმართ, რაც შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტის გაგება-გააზრებაში.

მშობელი თუ ჩართულია შვილის განათლების პროცესში მოსწავლეს უფრო მაღალი აკადემიური შედეგი აქვს. სამწუხაროდ, ბევრი მშობელი ამას დროის სიმცირის გამო ვერ ახერხებს. თუ მხატვრული ტექსტის კითხვისას მშობელი შვილის გვერდით არის ბავშვი უფრო მეტი ინტერესით კითხულობს, რათა მას გაუზიაროს ტექსტის შინაარსი, იმსჯელოს და შეაფასოს წაკითხული მასთან ერთად, ეს ყოველივე კი აადვილებს მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებას. მშობელი კითხვის დროს მაგალითი უნდა იყოს შვილისთვის.

სწავლის სტრატეგია გულისხმობს კოგნიტურ-შემეცნებითი პროცესის მიზანმიმართულად გამოყენებას სწავლის დროს. იგი მოიცავს მოსწავლეთა მიერ გარკვეული ხერხების გამოყენებას მასალის უკეთ გაგების და დამახსოვრების მიზნით. მოსწავლეთა უმრავლესობა მასალის სირთულის მიუხედავად, ძირითადად სწავლის მარტივ სტრატეგიებს იყენებს. ეფექტური სწავლა და მეცადინეობა მასალის აქტიურად გააზრებას და გადამუშავებას მოითხოვს. ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ვასწავლოთ სწავლის ეფექტური სტრატეგიები და ვასწავლოთ მათი გამოყენება.

მიწოდებული ტექსტი აუცილებლად უნდა იყოს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზე გათვლილი, მოსწავლისათვის გასაგები ენით დაწერილი, ხშირად ხდება დიდი რაოდენობით უსარგებლო ინფორმაციის მიწოდება, იძულება ისწავლოს ის, რაც მას არ გამოადგება, ან ტექსტის გასაანალიზებლად არ სჭირდება, მძიმე იქნება შედეგი, შესაძლოა საერთოდ აიღოს ხელი სწავლაზე, ან მოსწავლე ვერ დაძლევეს აურაცხელი რაოდენობის მასალას და თვითშეფასება დაეცემა.

კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვყალიბე კვლევის მიზანი, დავსახე ამოცანები, რათა გამომერკვია, რა ქმნის კლასში, კერძოდ, ქართული ენის გაკვეთილზე, მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემებს.

კვლევის მიზანი

კვლევის მთავარი მიზანია: II-ბ კლასის მოსწავლეებს ავუმაღლო მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი. ამისათვის საჭიროა დავადგინო რა არის მოსწავლეებში

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების შემაფერხებელი მიზეზები, ამ საკითხთან დაკავშირებით დავამუშავო ლიტერატურა, კოლეგებთან გავიარო კონსულტაცია, ვიპოვო პრობლემის გადაჭრის გზები, დავგეგმო და განვახორციელო სწორი ინტერვენციები, დავგეგმო გაკვეთილები ისეთი აქტივობებით, რომლებიც აუმაღლებს მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების დონეს.

ყოველივე ამის გაკეთება გავიწყე ამ საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურის დამუშავებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

როცა მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, არ შეიძლება გავიხსენოთ ამერიკელი განათლების ფსიქოლოგი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიის ბენჯამინ ბლუმი, რომელმაც აზროვნების დონეები განსაზღვრა. ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს:

- ✓ **კოგნიტურს** (შემეცნებითს): ინტელექტუალური შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნება;
- ✓ **აფექტურს** (ემოციურს): გრძნობები, ემოციები, განწყობები;
- ✓ **ფსიქომოტორულს**: უნარ-ჩვევები

სამივე სფეროში კატეგორიები დაყოფილია იერარქიებად, რომელიც ექვსი ეტაპისაგან შედგება: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ყოველ შემდეგ საფეხურზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ წინა კატეგორიის შესაბამისი ჩვევების დაუფლების შემდეგ. მოკლედ განვიხილოთ თითოეული:

ცოდნა ნიშნავს რაიმეს შესახებ ინფორმაციის ქონას და რაიმე საქმის და მოქმედების შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობას. **გაგება** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად მასში იგულისხმება ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომას. **გამოყენება** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, მასში იგულისხმება ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. **ანალიზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში, ცნობიერებაში. **სინთეზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს. სინთეზი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისების) გონებაში გაერთიანებას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით. **შეფასება** არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად გულისხმობს არჩეული კრიტერიუმების გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებას. სტანდარტებზე და პირობებზე დაყრდნობით რაიმე მსჯელობის ან დასკვნების გამოტანას. მოსწავლეებში შეფასების სააზროვნო უნარების განვითარება ხელს უწყობს მათში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. **კრიტიკული აზროვნება** არის მრავალმხრივი მიზნების განპირობებული აზროვნება, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ფაქტების, მსჯელობათა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის მიზნით.

ბლუმის მიხედვით, განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მაღალი დონის აზროვნების ჩამოყალიბება.

ბლუმის ტაქსონომიის ცოდნა მასწავლებლებს გვეხმარება მოსწავლეებში რეპროდუქციული მიღწევები კოგნიტური მიღწევებისკენ განვსაზღვროთ, გაკვეთილები გავგეგმოთ სირთულის მზარდი ხარისხის გათვალისწინებით, დავაკვირდეთ და გავიგოთ აქვს თუ არა უნარი მოსწავლეს განსაზღვრული ინტელექტუალური მიღწევებისთვის, სწავლის შედეგი ობიექტურად შევაფასოთ.

ყველა ადამიანი ერთნაირად ვერ ითვისებს მასალას. სწავლაზე გავლენას ახდენს ადამიანის კოგნიტური შესაძლებლობა, გამოცდილება და ინტერესი. ადამიანები

განსხვავებულად აღიქვამენ, გადაამუშავებენ და იმახსოვრებენ ინფორმაციას; ამას სწავლის სტილს ვუწოდებთ. განვიხილოთ **სწავლის სტილი და გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია.**

თანამედროვე სწავლება ადამიანის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული; სწავლების პროცესი იმგვარად უნდა დავგეგმოთ, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს საკუთარი შესაძლებლობების განვითარების საშუალება.

ინფორმაციას სამყაროდან აღქმით ვიღებთ. ცნობილია, რომ ადამიანებს ინფორმაციის მიღების ერთი დომინანტური სტილი აქვთ. გამოყოფენ ვიზუალურ, აუდიალურ და კინესტეტიკური სტილის ადამიანებს.

ვიზუალური სტილის ადამიანებს უადვილდებათ ახალი ინფორმაციის ვიზუალურად მიღება-სურათებით, დიაგრამებით, ცხრილებით. მათ ურჩევნიათ სასწავლო მასალას ხედავდნენ, ვიდრე ისმენდნენ ან რაიმეს აკეთებდნენ. **აუდიალური სტილის ადამიანებს** ურჩევნიათ მასალა მოისმინონ; ისინი უკეთ იმახსოვრებენ საუბარს, დისკუსიას, დიალოგებს. **კინესტეტიკური სტილის ადამიანებს** უადვილდებათ სწავლა, როდესაც რაიმეს აკეთებენ, ჭრიან, აგებენ, აწყობენ ან ასრულებენ როლებს. ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის ძალიან ძნელია თითოეულ ბავშვს მისთვის სასურველი სახით მივაწოდოთ ინფორმაცია, მაგრამ სასწავლო პროცესი და აქტივობები ისე უნდა დავგეგმოთ, რომ სასწავლო მასალა ყველასთვის ადვილად აღქმადი იყოს. უნდა გამოვიყენოთ საინტერესო ვიზუალური მასალა, მულტიმედია, დემონსტრირება და სიმულაციები, როლური თამაშები, დისკუსიაში ჩართვა და სხვა.

ამერიკელი განათლების მკვლევარი პერკინსი ავტორია თეორიისა „სწავლება გაგებისათვის“ ამ თეორიის მიხედვით, რომელიც „თეორია ერთის“ სახელითაა ცნობილი, სწავლა ჩაღრმავებული აზროვნების, გაგების შედეგია. გაგება პერკინსის მიხედვით, მხოლოდ შინაარსის გაგება არ არის, მასში „მოქმედების პერსპექტივაც იგულისხმება“ გაგება ნიშნავს, არა მხოლოდ თემის შინაარსის გააზრებას, არამედ ამ თემასთან დაკავშირებით მაღალი დონის საზოგადო პროცესების განხორციელებასაც.

გაგება ისეთ პროცესებს მოიცავს, რომლებიც მოსწავლეს მიღებული ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენების საშუალებას მისცემს. პერკინსმა თავის თეორიაში გამოყო ექვსი კომპონენტი, რომლებიც აუცილებელია გაგების წარმატებული სწავლისათვის.

✓ **სწავლება, როგორც აზროვნებაზე ფოკუსირებული ხანგრძლივი პროცესი**
მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი სასწავლო სიტუაცია, სადაც მოსწავლეები საკითხზე იფიქრებენ და კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან მას სხვადასხვა სიტუაციაში.

✓ **მიმდინარე შეფასების აუცილებლობა.**
მოსწავლეებს სჭირდებათ უკუკავშირი და კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ.

✓ **განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება.**
მასალის მიწოდებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი სირთულე ბავშვის ფსიქიკური განვითარების დონესთან მიმართებაში.

✓ **სწავლის უზრუნველყოფა ინფორმაციის ისე წარმოდგენით, რაც ხელს შეუწყობს გაგების პროცესების აღძვრას.**

ინფორმაციის სტრუქტურირებისა და წარმოდგენის წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიღებული ინფორმაციის გაგებაზე. კერძოდ, დიაგრამები, სქემები ხელს უწყობს ცნებებისა თუ საკითხის ღრმა გაგებას.

✓ **მოსწავლისათვის სასწავლო საგნის გაცნობა.**
კონკრეტული საგნის მასწავლებელი ვალდებულია, გააცნოს მოსწავლეებს ამ სასწავლო დისციპლინის სტრუქტურა და ლოგიკა.

✓ **სწავლება ტრანსფერისთვის**
იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ერთ საგანში ათვისებული ცოდნის სხვა კონტექსტში, სხვა დისციპლინაში გამოყენება, მათ უნდა ისწავლონ კავშირების დამყარება-„დაკავშირება“-ეს გაგების აუცილებელი საფუძველია.

ფსიქოლოგმა და განწყობის თეორიის ავტორმა **დიმიტრი უზნაძემ** გამოიკვლია მოსწავლეთა ინტერესების სფეროები ლიტერატურული ინტერესების განვითარებაზე დაყრდნობით. უზნაძის აზრით, „ბავშვს ცრემლი და უბედურება არც წიგნში უყვარს, იგი მასში უსიამოვნო ნალექს ტოვებს, და ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ წიგნი იმ

წიგნთა სიაში მოაქციოს, რომელიც განსაკუთრებით არ მოსწონს“(უზნაძე,2005,გვ 491). უზნაძის აზრით, წიგნი, რომელსაც ბავშვი კითხულობს მასში არსებული ლექსიკა გასაგები უნდა იყოს, რადგანაც მოეწონა თუ არა მასში აღწერილი სიუჟეტი, მან თუ გამოიწვია ღიმილი, მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელებს, თუ წაკითხული გარგად გაიგო. ბავშვს ისეთი წიგნები მოსწონს, რომელიც მისთვის გასაგები და სასიამოვნოა. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის რისკი, რომ წიგნის კითხვის ხალისი დაკარგოს.

დიმიტრი უზნაძე მიმოიხილავს კასტერის კვლევებს, რომლის მიხედვითაც 6-9 ასაკის ბავშვებს ზღაპრები ხიბლავთ. ამ ხანას იგი ზღაპრების ხანას უწოდებს. 10-13 წლის მოზარდებს სათავგადასავლო ამბები მოსწონთ. 10 წლიდან სენტიმენტალური სიუჟეტები ხიბლავთ. 14-17 წლის მოზარდები ავანტიურისტული და დეტექტიური სიუჟეტებით ინტერესდებიან, თუმცა შეიძლება ისტორიული და რეალისტური შინაარსის ნაწარმოებებმაც მიიქციოს მათი ყურადღება. ამგვარი ინტერესების განვითარება კინოფილმებისა და სპექტაკლების მიმართაც ნარჩუნდება.

უზნაძე ინტერესთა ასეთ ცვალობადობას ასაკობრივი თავისებურებებით ხსნის. ჩვენ, მასწავლებლებლებმაც მხატვრული ტექსტის მიწოდებისას უნდა გავითვალისწინოთ მათი ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები.

წიგნიერებას, როგორც სასწავლო პროცესის დამოუკიდებელ ერთეულს და სტრატეგიულ მიზანს, საგანგებო ყურადღება ეთმობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში (პაპავა, ჭანტურია 2012, გვ 5,6). ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა ნიშნავს ინფორმაციის შექმნას, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების განვითარებას. ესგ-ს მიხედვით, ძირითადი აქცენტი მიმართულია სააზროვნო,კომუნიკაციური,სოციალური და თვითმართვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ:

მუხლი 4. დაწყებითი საფეხურის მისიაა საბაზიზო უნარების-წიგნიერების და რაოდენობრივი წიგნიერების ხელშეწყობა.

წიგნიერება არის ცოდნის შექმნის, გააზრების და გამოყენების ერთობლიობა. ეს არის უნარების ფართო სპექტრი, რომელიც აუცილებელია ცხოვრების ხარისხის

გასაუმჯობესებლად. წიგნიერება დაკავშირებულია ისეთ უნარებთან, როგორებიცაა წაკითხულის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვა. კითხვა არის წიგნიერების განვითარების, როგორც კონსტრუქციული და ინტერაქტიული პროცესის მახასიათებელი, მკითხველი აკონსტრუირებს წაკითხულის მნიშვნელობას და ეფექტურად იყენებს კითხვის სტრატეგიებს. კითხვა სამ ძირითად საფეხურს მოიცავს: წაკითხვამდე, წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ. თითოეულ საფეხურზე მკითხველი ააქტიურებს და იყენებს შესაფერის სააზროვნო და ენობრივ უნარებს, არსებულ ცოდნა-გამოცდილებას, გაგება-გააზრების სტრატეგიებს. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, კითხვის ეტაპებზე გამოყოფენ ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კითხვის პროცესში. ესენია:

- ფონოლოგიური ცნობიერება, რომელიც გულისხმობს ბგერების-ფონემების გაცნობიერებას და მათი გამოყენების უნარს.
- ანბანური პრინციპის გაგება, რომ თითოეულ ბგერას შეესაბამება გრაფიკული გამოხატულება-ასო.
- ლექსიკის დაუფლება, რომელიც გულისხმობს სიტყვების სრულყოფილად გაგებისა და გამოყენების უნარს.
- წაკითხულის გააზრება, რომელიც კითხვის ძირითადი მიზანია. იგი რთული კოგნიტური პროცესია, რომელიც ეხმარება მკითხველს აზრი გამოიტანოს წაკითხულიდან, კითხვის პროცესშივე დააფიქსიროს მისთვის გაუგებარი ან რთულად გასაგები ადგილები და გამოიყენოს სათანადო სტრატეგიები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

კარგი მკითხველის ერთ-ერთი მახასიათებელი თავისუფლად კითხვაა. თუ მკითხველი ადვილად შიფრავს და კითხულობს სიტყვებს, მას აქვს საშუალება, მეტი დრო და ძალისხმევა დაუთმოს იმის გაგებას, რასაც კითხულობს.

სპეციალისტები თვლიან, რომ სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა პირდაპირ არის დაკავშირებული წაკითხულის გაგება-გააზრების უნართან, რაც საბოლოოდ მოსწავლის აკადემიურ წარმატებასთან არის დაკავშირებული. თუ მოსწავლე შეძლებს იმ სიტყვების

მნიშვნელობის გაგებას, რომელსაც ტექსტის კითხვისას აწყდება, შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია მისთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოსაცნობად, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი გააზრებულად კითხულობს, საფუძვლიანად იგებს წაკითხული ტექსტის შინაარს. ინფორმაციის მისაღებად და დასასწავლად აუცილებელია მკითხველს ჰქონდეს უნარი, გააზრებულად წაკითხოს ტექსტი და დაიმახსოვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია. კითხვის პროცესში მუდმივად ცდილობს მოახმაროს წაკითხულს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, რაც ხელს უწყობს წაკითხულის სრულყოფილად გააზრებას. კარგმა მკითხველმა მუდმივად უნდა ადევნოს თვალყური საკუთარ თავს კითხვის დროს, ამით ამოწმებს რამდენად კარგად გაიგო წაკითხული. თვითმონიტორინგი შესაძლებლობას აძლევს მას თუ რაიმე ვერ გაიგო მყისიერად მიმართოს შესაბამის სტრატეგიებს, რათა ხარვეზი გამოასწოროს.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს წაკითხული ტექსტის გააზრება?

ირინა სამსონია წიგნში „მასწავლებლის სახელმძღვანელო“ გვთავაზობს შემდეგს აქტივობებს:

წინარე ცოდნის აქტივაცია უწყობს ხელს წაკითხულის გააზრებას. წინარე ცოდნა არის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს მოსწავლე იმ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ეხება წასაკითხი ტექსტი. წინარე ცოდნის აქტივაციის საშუალებით მოსწავლე ახერხებს დაკავშირებას უკვე არსებული ცოდნისას შესასწავლ მასალასთან.

ვარაუდების ცხრილის შევსება, რითაც მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი, რა შეიძლება იყოს მისი მთავარი თემა. მასწავლებელი უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეებს თუ რამდენად სწორ შინაარსობრივ კავშირებს ამყარებენ საკუთარ ცოდნასა და წასაკითხ ტექსტს შორის.

კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა დაუბრუნდეს კითხვის დაწყებამდე ჩატარებულ აქტივობას და მოხდება **წაკითხული ვარაუდების შეჯამება**.

აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს მასწავლებლის მხრიდან, თუ კი მასწავლებლისთვის ცნობილია, რომ მოსწავლეები არ ფლობენ საკმარის წინარე ცოდნას.

მასწავლებელმა თავად უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეებს ახალი ტექსტის გაგებაში დაეხმარება.

წაკითხულის გასააზრებლად სასარგებლოა **გრაფიკული მაორგანიზებლების** გამოყენება, რომელიც არის მარტივად და თვალსაჩინოდ წარმოდგენილი ტექსტის შინაარსი, რაც მოსწავლეს ეხმარება დაინახოს და დაიმახსოვროს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც მას წაკითხულის გასააზრებლად სჭირდება. გრაფიკულ მაორგანიზებლებს განეკუთვნება: აზრობრივი რუკა, ვენის დიაგრამა, ამბის რუკა, ცნებათა რუკა, ქრონოლოგიური რუკა, ობობას ქსელი(აბლაბუდა) და სხვა.

წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საჭიროა მოსწავლეებს ვასწავლოთ საკუთარი **კითხვის პროცესის კონტროლი**. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს რა სტრატეგიები არსებობს საკუთარი კითხვის პროცესის გასაკონტრორებლად და რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი მათი გამოყენება.

ტექსტის გაგება-გააზრებას მნიშვნელოვნად განაპირობებს **წაკითხულის შეჯამების უნარი**. ამ უნარის გამომუშავებისთვის სასურველია, რომ მოსწავლეებს ჯერ ვასწავლოთ ერთი აზრის, ან მცირე მონაკვეთის შეჯამება. შემდეგ გავზარდოთ შესაჯამებელი მონაკვეთების მოცულობა.

წაკითხულის გასააზრებლად ასევე მნიშვნელოვანია **კითხვების დასმა და კითხვებზე პასუხების გაცემა**. მოსწავლეები თუ ისწავლიან, როგორ და რა სახის კითხვები დასვან კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის დასრულების შემდეგ, ეს გაზრდის მათ ინტერესს ტექსტის მიმართ და საშუალებას მისცემს უფრო ღრმად გაიაზრონ იგი.

წაკითხულის შესახებ **დისკუსიის წარმართვა** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივობაა წაკითხულის გასააზრებლად.

განხილულმა ლიტერატურამ უფრო მეტად მაჩვენა კვლევის თემის აქტუალობა. რამდენად მნიშვნელოვანია სწავლისთვის ტექსტის გაგება-გააზრება ყველა საგანში. მივიღე საჭირო რეკომენდაციები, რომლებიც დამეხმარა კვლევის შედეგად მიღებული პრობლემების მოგვარებაში, ინტერვენციისთვის საჭირო აქტივობების შერჩევაში.

მეთოდოლოგია

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ინფორმაცია პრაქტიკული კვლევის პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ. ასევე, წარმოდგენილია კვლევის თითოეული ეტაპის სამიზნე ჯგუფები, ინფორმაცია კვლევის სანდოობის შესახებ. როგორც უკვე ავლნიშნე, ჩემი კვლევის მთავარი კითხვაა **როგორ განუვითარო მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი?** აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად და პრობლემის არსში უფრო ღრმად ჩასაწვდომად დამეხმარებოდა პასუხი გამეცა შემდეგ ქვეკითხვებზე:

- ✓ რა დროს უთმობენ მოსწავლეები მხატვრული ტექსტის კითხვას?
- ✓ რა სირთულეებს ხვდებიან კითხვისას?
- ✓ რამდენად კარგად შეუძლიათ წაკითხულის გაგება-გააზრება?
- ✓ რამდენად სწორად ვურჩევთ მოსწავლეებს მხატვრულ ლიტერატურას?
- ✓ როგორ ავუმაღლო მოსწავლეებს მოტივაცია?
- ✓ როგორ ზრუნავენ მშობლები შვილების წიგნიერების დონის ასამაღლებლად?

კვლევის გეგმა

კვლევა უფრო სანდო რომ ყოფილიყო, მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენე როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

დაკვირვება და დოკუმენტების აღწერა

დაკვირვების ეტაპზე, რომელიც სამ თვეს მოიცავდა, ინდივიდუალურად ვაკვირდებოდი მოსწავლეებში მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებას, მოსწავლეებს ინდივიდუალურად ვაკითხვინებდი მხატვრულ ტექსტებს,

შემდეგ კი კითხვების დასმით ვარკვევდი, თუ რამდენად სწორად შეძლო მოსწავლემ წაკითხულის გაგება-გააზრება, ვაკეთებდი ჩანიშვნებს. ასევე ვაწარმოებდი საკლასო და საშინაო წერის რვეულების დაკვირვება-მონიტორინგს, ვატარებდი დიაგნოსტიკურ ტესტირებებს მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებაზე. შევარჩიე პროექტ G-pried-ის მეორე კლასის ტესტები წაკითხულის გააზრება.(იხ დანართი)

სიღრმისეული ინტერვიუ დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან

პრობლემის დასადგენად ჩავწერე სიღრმისეული ინტერვიუ დაწყებითი კლასების რვა მოსწავლეებთან, მაინტერესებდა გამეგო, რამდენად უჭირთ მოსწავლეებს სხვა კლასებში, სხვა საგნებში ტექსტის გაგება-გააზრება, გვესაუბრა პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე, მოგვარების გზებზე. უნტერვიუს დაწყებამდე მქონდა შედგენილი სავარაუდო კითხვების წერილობითი მონახაზი ე.წ სადისკუსიო გეგმა, რომელიც დამეხმარა არ გამომეტოვებინა მნიშვნელოვანი საკითხები და მაქსიმალური ინფორმაცია მიმელო რესპოდენტებისაგან ჩემთვის საჭირო საკითხის ირგვლივ.

ფოკუს-ჯგუფი ჩავატარე მე-2 ბ კლასის მოსწავლეების მშობლებთან. ჩემი მიზანი იყო მათგან მიმელო ინფორმაცია, რომელიც დამეხმარებოდა არა მარტო პრობლემის გამოკვეთაში, არამედ მოსწავლეთა წიგნიერებასთან დაკავშირებით კითხვარის მომზადებაში. მეორე კლასის მოსწავლეებთან ჯერ კიდევ დიდია და აუცილებელი მშობლის როლი მხატვრული ლიტერატურის გაგება-გააზრებაში, მათი წიგნიერების დონის ამაღლებაში. ინტერვიუსთვის წინასწარ მქონდა რამოდენიმე კითხვა შედგენილი, რითაც შევძლებდი გამომეკვლია უწყობენ თუ არა მშობლები ხელს შვილის წიგნიერების დონის ამაღლებას. კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა ყველა მშობელმა, ხოლო ფოკუს-ჯგუფად შევარჩიე 12 მშობელი, აქედან ოთხი ისეთი მოსწავლის, რომელთაც უჭირთ მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება, ოთხი მშობელი იმ მოსწავლეთა, რომელთაც ნაკლებად ახერხებენ ტექსტის გაგება-გააზრებას და ოთხი იმ მოსწავლეების მშობლები, რომლებსაც კარგად შეუძლიათ ტექსტის გაგება-გააზრება. წინასწარ შევუქმენი მშობლებს პოზიტიური განწყობა, შეხვედრისთვის შევარჩიე ჩვენი სკოლის დიდი და მყუდრო საკლასო ოთახი, შაბათი დღე, რადგანაც სიწყნარეში

ხელისშემშლელი ფაქტორები არ იქნებოდა. მართალია, მათ დისკუსიას ჩამწერით ვიწერდი, მაგრამ იცოდნენ, რომ კვლევისას ანონიმურობა დაცული იქნებოდა. მე ვიყავი ემფათიური მსმენელი, გამოვხატავდი ინტერესს, არ ვაწყვეტინებდი, არ ვახვევდი თავს საკუთარ აზრს, შეხედულებებს, ხშირად ვჩუმდებოდი, რათა რესპოდენტებს თავად წარემართათ დისკუსია. რაც ვფრიქრობ, გაზრდიდა მათი მხრიდან ობიექტურობასა და გულახდილობას. ინტერვიუს დასრულებისას თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადე დახმარებისთვის და დროის დაკარგვისათვის.

გამოკითხვა

საკვლევი თემა უკეთ რომ გამომეკვეთა შევადგინე კითხვარი ბავშვებისათვის, რომელიც შეიცავდა დახურულ კითხვებს. მოსწავლეებს რამოდენიმე სავარაუდო პასუხიდან უნდა შემოეხაზა ერთ-ერთი. გამოკითხვაში კლასის ყველა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. კითხვარი კლასში შევავსებინე (იხ.დანართი5).

მონაცემთა ანალიზი

როგორც უკვე ავღნიშნე, პრობლემის გამოსაკვეთად გამოვიყენე ***დაკვირვება და დოკუმენტაციის აღწერა***. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის ანალიზის საფუძველზე-მოსწავლეთა მიერ წაკითხული ლიტერატურული ტექსტის ირგვლივ დასმული კითხვებით, რომლითაც ვიგებდი, თუ როგორ შეძლეს ტექსტის გაგება-გააზრება; და დიაგნოსტიკური ტესტირების პასუხების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა ნამდვილად მწვავედ არსებობს ჩემს კლასში. კვლევაში მონაწილეობდა ყველა მოსწავლე (28) და მათგან უმრავლესობას (22მოსწავლეს), მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის შინაარსის გადმოცემა შეეძლოთ და მარტივ ინფორმაციულ კითხვებს პასუხობდნენ, ***უჭირდათ, ან საერთოდ ვერ პასუხობდნენ კითხვებს ტექსტის გაგება-გააზრებაზე***.

ინტერვიუმ დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან აჩვენა, რომ წაკითხულის გაგება-გააზრების პრობლემები დგას სხვა კლასის მოსწავლეებშიც და სხვადასხვა საგნებშიც.

მასწავლებლები სხვადასხვა მეთოდებსა და აქტივობებს მიმართავენ, რათა მოსწავლეებში გაზარდონ წიგნიერება. აწყობენ დისკუსიებს წაკითხული ლიტერატურული ნაწარმოების ირგვლივ, დგამენ მინი სპექტაკლებს, თუმცა ეს ყველაფერი ძალიან იშვიათად ტარდება და საკმარისი არ არის პრობლემის მოსაგვარებლად.


კოლეგებთან ინტერვიუმ და საუბრებმა უფრო ნათლად დამანახა ჩემი კვლევის აუცილებლობა, დამეხმარა პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენასა და მოგვარების გზების ძიებაში.

ფოკუს ჯგუფთან-მეორე კლასის მოსწავლეთა მშობლებთან შევადგინე ინტერვიუს კითხვარი ისე, რომ გამეგო მშობელი უწყობს ხელს თუ არა შვილის წიგნიერების დონის ამაღლებას.(კითხვარი იხილეთ დანართში)


პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ მშობლების ჩართულობა მოსწავლეთა კითხვის პროცესში დაბალია, 8 მშობელმა აღიარა, რომ შვილებს საერთოდ ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას მხატვრული ტექსტის კითხვისას. ამის მიზეზად კი დროის სიმცირე დაასახელა. 3-მა მშობელმა აღნიშნა, რომ ნაკლებ დროს უთმობს შვილებს ესაუბრონ წაკითხული ლიტერატურული ტექსტის ირგვლივ, გაიგონ შეძლეს თუ არა ბავშვებმა წაკითხულის გაგება-გააზრება.შერჩეული 12 მშობლიდან მხოლოდ ერთმა აღნიშნა, რომ შვილთან ერთად კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, ესაუბრა მას მოქმედ გმირებზე, აფასებენ გმირის საქციელს.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები დიაგრამის სახით მაქვს წარმოდგენილი:


1. რა სიხშირით კითხულობ მხატვრულ ტექსტს?




2. რომელი სახის ნაწარმოები მოგწონს ყველაზე მეტად?




3. გიჭირს თუ არა ტექსტის გაგება-გააზრება? როგორ ფიქრობ რა არის ამის მიზეზი?



4. თუ კითხულობ და განიხილავ მშობლებთან ერთად მხატვრულ ტექსტებს და რა სიხშირით?



5.შენი აზრით, როგორი უნდა იყოს წიგნი რომ დაგაინტერესოს?



პირველადი კვლევის შედეგები

ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ჩემს კლასში ნამდვილად არსებობს მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის ნაკლებობა, რომლის ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი:

➤ მწირი ლექსიკური მარაგი

მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება გართულებულია იმის გამო, რომ აქვს მწირი ლექსიკური მარაგი ასაკობრივ სტანდარტთან მიმართებაში, არ იცის ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა, ან არასწორად იგებს სიტყვას, არ ფლობს მრავალფეროვან ცნებებს. მას თხრობითი მეტყველებაც ღარიბი აქვს.

➤ ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენების არცოდნა

სწავლის სტრატეგია ვიცით, რომ გულისხმობს მოსწავლეთა მიერ გარკვეული ხერხების გამოყენებას მასალის უკეთ გაგების და დამახსოვრების მიზნით. მხატვრული ტექსტის წაკითხვისას მოსწავლე ვერ დაიმახსოვრებს ყველა ინფორმაციას, რაც მასშია მოცემული, ჩემს მოსწავლეებს არ აქვთ ინფორმაციის დახარისხებისა და გადარჩევის უნარი, უჭირთ

ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, უჭირთ ახალი და არსებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება, ეს კი ხელს უშლის მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებას. გაგება-გააზრების სტრატეგია არის ის პროცედურა, რომელსაც კარგი მკითხველი შეგნებულად და მიზნობრივად იყენებს ტექსტიდან აზრის გამოსატანად. გაგების სტრატეგიების სწავლება ეხმარება მოსწავლეს ჩამოყალიბდეს აქტიურ, მიზანზე ორიენტირებულ მკითხველად, რომელსც შეუძლია აკონტროლოს თუ რა და როგორ გაიგო.

➤ *მიწოდებული ტექსტის სირთულე*

მოსწავლეებს ზოგჯერ ისე ვაწვდით მხატვრულ ლიტერატურას, რომ გვავიწყდება მათი ასაკის და ინტერესების გათვალისწინება. ეს კი იწვევს მოსწავლეებში მხატვრული ტექსტის მიმართ ინტერესის დაკარგვას.

➤ *მშობელთა დაბალი ჩართულობა მოსწავლეების წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაში*

მშობლებს, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო დრო არ რჩებათ საკუთარი შვილების სწავლის პროცესში ჩასართავად, ისინი იმდენად გადართული არიან ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე, რომ მხედველობიდან რჩებათ შვილების საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის საჭიროება და მნიშვნელობა. ეს აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები

ინტერვენციები

1 ინტერვენცია

ინტერვენციის მიზანია მოსწავლეებში ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

აქტივობა 1., სიტყვების გამომძიებელი“ აქტივობის მიზანი:

აქტივობის მიზანი:

- ✓ მოსწავლეები გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- ✓ მიეჩვენებიან ვარაუდების გამოთქმას სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- ✓ ისწავლის სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობას კონტექსტის მიხედვით;
- ✓ მიეჩვენება ლექსიკონის გამოყენებას სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად ან დასაზუსტებლად.

გაკვეთილზე დაფაზე ვაკრავ, ზოგჯერ კი ცარცით ვხაზავ ოთხსვეტიან ცხრილს სათაურით: „სიტყვების გამომძიებელი“, შესაბამისად მოსწავლეებს ვურიგებ წინასწარ დამზადებულ სქემებს.

- სქემის პირველ სვეტში ჩამოვწერ ლიტერატურული ტექსტიდან ამოკრეფილ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ჩემი ვარაუდით მათთვის უცნობი იქნება და მათი მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით შესაძლებელი იქნება.
- ცხრილის მეორე სვეტში მოსწავლეები წერენ თითოეული სიტყვის სავარაუდო მნიშვნელობას.
- ტექტის წაკითხვისას მოსწავლეები კონტექსტით დადგენილ მნიშვნელობას შეადარებენ თავიანთ ვარაუდებს და გზადაგზა შეავსებენ ცხრილის მესამე სვეტს-სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობის სვეტს.
- ბოლოს მეოთხე სვეტს ავსებენ - ლექსიკონის გამოყენებით ჩამოწერენ სიტყვების მნიშვნელობას. (ცხრილი იხ. დან.)

აქტივობა 2. „სიტყვების სკივრი“

აქტივობის მიზანი:

- ✓ მოსწავლეები გაიაქტიურებენ შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- ✓ მიეჩვენებიან ამ სიტყვების პრაქტიკულ გამოყენებას;

- ✓ განვითარებენ ზეპირმეტყველების უნარს;
- ✓ გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

ლექსიკური მარაგის გასამდიდრებად კლასში შევქმენით „სიტყვების სკივრი“, სადაც მხატვრული ტექსტის კითხვისას შემხვედრ უცხო ლექსიკურ ერთეულებს ვაგროვებთ, მერე კი „სიტყვობანას“ ვთამაშობთ- თუ რომელი მოსწავლე ახსნის უკეთ თითოეული სიტყვის მნიშვნელობას. შემდეგ აღნიშნული სიტყვებით ვადგენინებ წინადადებებს. ამ სიტყვების გამოყენებით ზოგჯერ პატარა მოთხრობას ან ზღაპარს ვადგენინებ, რომელის წარმოსახვითი უნარის განვითარებასაც უწყობს ხელს.

აქტივობა 3. „დაკარგული სიტყვები“

აქტივობის მიზანი:

- ✓ მოსწავლეები გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- ✓ ისწავლის საჭირო სიტყვის ამოცნობას კონტექსტის მიხედვით;
- ✓ გააცნობიერებს, რომ ერთი და იგივე აზრი შეიძლება სხვადასხვაგვარად გადმოვცეთ;
- ✓ მიეჩვევიან კითხვის პროცესში სწრაფ აზროვნებას.

წინასწარ ვარჩევ მცირე ზომის მხატვრულ ტექსტს, ან ტექსტიდან მონაკვეთს, რომლიდანაც ვიღებ რამდენიმე ისეთ სიტყვას, რომლებიც ადვილად ამოსაცნობი იყოს კონტექსტის მიხედვით და მეტ-ნაკლებად თანაბრად გაფანტული ტექსტში. მოსწავლეები წაიკითხავენ წინადადებებს და ცდილობენ, დაუბრუნონ ტექსტს „დაკარგული“ სიტყვები, ანუ გამოიცნონ და საჭირო ადგილას ჩაწერონ გამოტოვებული სიტყვები. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობ ტექსტის ავტორისეულ ვარიანტს.(ტექსტის ნიმუში იხილეთ დანართში)

II ინტერვენცია

ინტერვენციის მიზანი: მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების სწავლება.

აქტივობა 1 „ვარაუდების ცხრილი“

აქტივობის მიზანი:

- მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება,
- ახალი თემისა თუ საკითხის მიმართ ინტერესის გაღვივება,
- მოსწავლეთა დაინტერესება ტექსტში ასახული თემისა და საკითხების მიმართ.

ეს აქტივობა დამეხმარა იმაში, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად ჩავრთე სასწავლო პროცესში.

აქტივობის აღწერა : მოსწავლეებს ვურიგებ წინასწარ გამზადებულ ცხრილს და ვთხოვ მათ შევსებას. შევსების შემდეგ ვმართავ დისკუსიას, მოსწავლეები ასაბუთებენ მათ მოსაზრებებს, შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ადარებენ მათ პასუხებს.(ცხრილი იხილეთ დანართებში)

აქტივობა 1 „ვენის დიგრამა“

აქტივობის მიზანი:

- ტექსტის ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება.
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება.
- წაკითხულის გაგება-გააზრება

ტექსტის დამუშავების დროს, ან დამუშავების შემდეგ, დაფაზე გამოვსახავ ვენის დიაგრამას, ვუხსნი მოსწავლეებს გამოყენების წესს. შევსების შემდეგ ვახდენ მოსწავლეთა ჩანაწერების განხილვას, რის შემდეგაც მოსწავლეები შეძლებენ შეამოწმონ, დააზუსტონ, შეასწორონ, განავრცონ მათი ნამუშევარი(იხ.დან .)

III ინტერვენცია

ინტერვენციის მიზანი: მშობელთა ჩართულობა მოსწავლეების წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაში

აქტივობა 1 „ღია კარის დღე/მშობლის დღე“

ყოველ სამშაბათს (თავისუფალი გაკვეთილები მქონდა) ყველა მშობელს შესაძლებლობა ჰქონდა დროის ნებისმიერ მონაკვეთში მოსულიყო სკოლაში და გამსაუბრებოდა არა მარტო მე, არამედ სხვა საგნების მასწავლებლებსაც და მიეღო მათგან დეტალური ინფორმაცია ბავშვის შესახებ.

აქტივობა 2. „მოგზაურობა ზღაპრების სამყაროში“

აქტივობის მიზანი:

- მშობელთა ჩართულობის ამაღლება ბავშვების წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაში.
- მშობლებთან ერთად ზღაპრების წაკითხვა, დამუშავება და პრეზენტაციის გაკეთება.

აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს ერთი თვით ადრე მივეცი დავალებად მშობლებთან ერთად წაეკითხათ ზღაპრები, დაემუშავებინათ და გადაეტანათ დიდ ფურცელზე, დაერთოთ ნახატები და პრეზენტაცია გაეკეთებინათ სკოლის ბიბლიოთეკაში. ყველა ბავშვმა და შესაბამისად, ყველა მშობელმა, მიიღო დიდი ხალისით მონაწილეობა.

აქტივობა 3. „ექსკურსია ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში“

აქტივობის მიზანი:

- მშობელთა ჩართულობის ამაღლება მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაში.
- მშობელთა ჩართულობის ამაღლება მოსწავლეთა სოციალური უნარების ამაღლების ხელშეწყობაში.

აქტივობის აღწერა: სანამ ექსკურსიაზე წავიდოდით ერთი თვით ადრე მშობლებთან ერთად დაიგეგმა, როგორც ექსკურსიის მარშრუტი, ასევე ექსკურსიაზე განსახორციელებელი ერთობლივი თამაშები, როგორც სპორტული, ასევე ინტელექტუალური. მშობლები ბავშვებთან ერთად გაიყო ორ ჯგუფად. მშობლების

დავალება იყო სცენაზე გაეცოცხლებინათ ნ.დუმბაძის გმირები-პატარა ფრაგმენტები წარმოედგინათ ნ.დუმბაძის ნაწარმოებებიდან, ხოლო ბავშვებმა ლექსები წარმოგვიდგინეს. ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იყო.


ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციების შედეგების შესამოწმებლად გამოვიყენე ჩაღრმავებული ინტერვიუ მშობლებთან. მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ძალიან საინტერესო და სახალისო იყო სასკოლო აქტივობებში ჩართვა, გაითავისეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მხატვრული ტექსტის კითხვისას შვილების გვერდით ყოფნა, წაკითხულის შესახებ ბავშვებთან საუბარი, მოქმედი გმირების საქციელის შეფასება, მონაწილეობის მიღება მხატვრული ტექსტის შერჩევასა და წაკითხვაში. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მშობელი კითხვის დროს მაგალითი უნდა იყოს შვილისთვის.


განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ მოსწავლეებს გაკვეთილებზე სისტემატიურად ვაკვირდებოდი, მაინტერესებდა, რამდენად აუმაღლდათ მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი, ჩავატარე არა ერთი ტესტირება, გამოვიყენე პროექტ G-pried-ის მეორე კლასის ტესტები **წაკითხულის გააზრება**. (იხ დანართი). შედეგებით კმაყოფილი დავრჩი. კვლევის პირველადი მონაცემებით კლასის 28 მოსწავლიდან 22 ვერ ახერხებდა მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებას. განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ ტესტირებებმა აჩვენა, რომ 28 მოსწავლიდან 24 მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს არა მარტო მხატვრული ტექსტის შინაარსი, შეუძლიათ თანმიმდევრობით თხრობა, მარტივ კითხვებზე პასუხების გაცემა, არამედ ნაწარმოების თემის, იდეის განსაზღვრა, ტექსტიდან აზრის გამოტანა, ადვილად ხვდება ავტორს ამ ნაწარმოებით რისი თქმა სურს ჩვენთვის, სამწუხაროდ ოთხ მოსწავლეს ჯერ კიდევ გასანვითარებელი აქვს გაგება-გააზრების უნარი. მესამე კლასიდან უკვე სისტემატიურად ვიმუშავებ ამ საკითხზე.

მონაცემები დიაგრამების სახით ასე გამოისახება:

1. მონაცემები ინტერვენციების განხორციელებამდე



2. მონაცემები ინტერვენციების განხორციელების შემდეგ



დასკვნა

ბავშვების ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რასაც ისინი სკოლაში სწავლისას იძენენ კითხვის უნარია, გაგება-გააზრება კი კითხვის ძირითადი დანიშნულებაა. მოსწავლეს ტექსტის გაგება-გააზრების უნარი დაწყებითი კლასებიდანვე უნდა გამოვუმუშაოთ. კვლევამ გამოავლინა ზუსტი მიზეზები, თუ რატომ უჭირდათ ჩემს მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრება. ყველა ინტერვენცია, რომელიც განვახორციელე წარმატებული და ეფექტიანი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ თუ მასწავლებელი სწორად დაგეგმავს აქტივობებს მოსწავლეებს აუმაღლდებათ ტექსტის გაგება-გააზრების უნარი. დიდია მშობლების როლი წიგნიერი თაობების აღზრდაში. მისასალმებელია, რომ შევძელით მშობლებთან ერთად მუშაობა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ახლა მთავარია ეს არ იყოს ერთჯერადი პროცესი, მუშაობა უნდა გაგრძელდეს, ამის დიდი სურვილი მშობლებმა და მოსწავლეებმაც გამოთქვეს.

მასწავლებლებს შეიძლება შემდეგი რეკომენდაცია მივცე:

- ✓ ყოველი გაკვეთილი დავგეგმოთ ტექსტის გაგება-გააზრებისთვის საჭირო მეთოდებითა და აქტივობებით;
- ✓ მოსწავლეებისთვის ტექსტის მიწოდებისას ყოველთვის გავითვალისწინოთ მათი ასაკობრივი თავისებურებები და სურვილები;
- ✓ მაქსიმალურად ჩავრთოთ მშობლები მოსწავლეების წიგნიერების დონის ამაღლებაში.

რეკომენდაცია მშობლებს:

- ✓ იკითხეთ შვილებთან ერთად;
- ✓ ესაუბრეთ წაკითხულიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

მნიშვნელოვანი იყო კვლევის პროცესი ჩემთვის:

- ✓ მოსწავლეებს ავუმალლე მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი;
- ✓ კვლევის პროცესში განვივითარე კვლევის წარმართვისათვის საჭირო უნარები, რომლებიც შემიძლია კოლეგებსაც გავუზიარო.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის II^ბ კლასის მოსწავლეებში ნამდვილად არსებობდა მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები, განხორციელებული ინტერვენციების შედეგად, მეორადი კვლევების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მრავალფეროვანი შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები ეფექტური და მიზნის მისაღწევად სწორად შერჩეული იყო, რამაც შედეგზე გამოიყვანა.

დანართები

დანართი-გეგმა

განსახორციელებელი აქტივობები	სექტორი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი თემის შერჩევა		✓								
ჰიპოთეზების, პრობლემის გამოკვეთა, მომწვევი მიზეზების დადგენა		✓	✓							
ლიტერატურის მიმოხილვა				✓	✓	✓	✓			
კვლევის გეგმის შედგენა მეთოდოლოგია		✓	✓							
მონაცემების შეგროვება დამუშავება		✓	✓	✓						
ინტერვენციების დაგეგმვა განხორციელება				✓	✓	✓	✓	✓	✓	
ინტერვენციების შედეგების შეფასება								✓	✓	
კვლევის დასკვნა									✓	
ანგარიშის მომზადება					✓	✓	✓	✓	✓	✓
კვლევის პრეზენტაცია კოლეგებისთვის გაზიარება										✓

დანართი- ინტერვიუს კითხვები მასწავლებლებისათვის

1. როგორ ასრულებენ მოსწავლეები გაგება-გააზრებაზე მიცემულ დავალებებს?
2. უჭირთ თუ არა მოსწავლეებს ტექსტის დამოუკიდებლად გაგება-გააზრება?
3. როგორ ფიქრობთ, თქვენი საგნების სწავლებისას რაოდენ მნიშვნელოვანია გაგება-გააზრების უნარი?
4. თქვენი აზრით, რა აფერხებს გაგება-გააზრების უნარს?
5. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

დანართი-ინტერვიუს კითხვები მშობლებისათვის

1. იცით თუ არა რა სახის ლიტერატურა უყვარს თქვენს შვილს?
2. გაქვთ თუ არა ოჯახში საკუთარი ბიბლიოთეკა?
3. ეხმარებით თუ არა შვილებს ლიტერატურის შერჩევაში?
4. ესაუბრებით შვილებს წაკითხულის შესახებ?
5. თქვენი აზრით, რატომ არის ბავშვებში წიგნიერების დაბალი მაჩვენებელი?

დანართი - კითხვარი (წერიტი ფორმით)

1. გიყვარს თუ არა წიგნის კითხვა და თუ კითხულობ ყოველდღე? რამდენ დროს უთმობ დღის განმავლობაში კითხვას?

2. . რა თემაზე დაწერილი წიგნები გაინტერესებს და თუ გყავს საყვარელი ან მისაბამი პერსონაჟი?

3. დაგიკარგავს თუ არა ინტერესი წიგნის კითხვის დროს და რითი იყო ეს გამოწვეული?

4. რა სიმძნელე გხვდება კითხვისას?

1. გიჭირს თუ არა ტექსტის გააზრება? თუ გიჭირს როგორ გგონია, რა გაფერხებს? (უცნობი სიტყვები, დიდი ტექსტი, უყურადღებობა, ჩემთვის უცხო და რთული საკითხი, და ა.შ.)

დანართი- პროექტ G-prd-ის ტესტები

[http://kargiskola.ge/teachers/baratebi/kitxva/GL/Grade%203+4/Reading%20Activity%20Cards%20Q-3-4%20kl%20Basratebi%20\(GLL\).pdf](http://kargiskola.ge/teachers/baratebi/kitxva/GL/Grade%203+4/Reading%20Activity%20Cards%20Q-3-4%20kl%20Basratebi%20(GLL).pdf)

❖ აქტივობის ბარათი კითხვის და წერის სწავლებისათვის

უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, წერა

ყურადღებით წაკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. კითხვების პასუხები დაწერე რვეულში.

რუხი მგელი

ერთ დროს ადამიანის შემდეგ მგელი ყველაზე გავრცელებული ძუძუმწოვარი იყო დედამიწაზე. ის მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ცხოვრობდა. დღეს, ადამიანის წყალობით, მგლების რიცხვი ერთი მესამედით არის შემცირებული. შემცირდა გარეული მგლის სიცოცხლის ხანგრძლივობაც და 6-დან 8 წლამდე მერყეობს. თუმცა, ზოგიერთ მგელს 13 წლამდეც კი უცოცხლია. მგლები დაახლოებით 10 მგლისგან შემდგარ ხროვებად ცხოვრობენ და ერთად ნადირობენ. შინაური ძაღლის ყველა ჯიშის, დიდის თუ პატარის. წინაპარი რუხი მგელია.

1. რატომ შემცირდა მგლების რაოდენობა დედამიწაზე?
2. რამდენ ხანს ცოცხლობს ეს ცხოველი?
3. რომელი შინაური ცხოველის წინაპარია რუხი მგელი?
4. შენი აზრით, რატომ შემცირდა ველურ გარემოში მცხოვრები მგლების სიცოცხლის ხანგრძლივობა?

❖ აქტივობის ბარათი კითხვის და წერის სწავლებისათვის

უნარები: ლექსიკური მარაგი, წერა

ამოიწერე სწორი განმარტება:

ნიმუში: 1 გული მოუვიდა.

1. პირში ჩაღა გამოავლო -----

ა) მოატყუა ბ) შეარცხვინა გ) დაამცირა

2. ფრთები გამოესხა -----

ა) ფრენა ისწავლა ბ) ძალიან გაუხარდა გ) ამპარტავანი გახდა

3. ქანცი გაუწყდა -----

ა) მოთმინება დაეკარგა ბ) იმედი გადაეწურა გ) ძალიან დაიღალა

4. კუღზე გაწყრა-----

ა) კუდი აღარ მოაჭრა ბ) მეგობარი გააბრაზა გ) საქმე ბოლომდე არ მიიყვანა.

❖ აქტივობის ბარათი კითხვის და წერის სწავლებისათვის

უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, წერა

წაკითხვით ახალი ტექსტი ყურადღებით. მოცემული სქემის მიხედვით დაწერე პერსონაჟის დახასიათება:

ნაწარმოების სათაური-----

პერსონაჟი-----

გრძნობს-----

ფიქრობს-----

ამბობს-----

აკეთებს-----

პერსონაჟის მიზანი-----

შედეგი-----


დანართი აქტივობისთვის „სიტყვების გამომძიებელი“

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით	განმარტება ლექსიკონში

დანართი აქტივობისთვის „ვარაუდების ცხრილი“

კითხვის დაწყებამდე (ვეთანხმები/არ ვეთანხმები)	დებულება/კითხვა	კითხვის დასრულების შემდეგ (ვეთანხმები/არ ვეთანხმები)
	1.	
	2.	
	3.	
	4.	
	5.	
	6.	
	7.	

დანართი აქტივობისთვის „ვენის დიაგრამა“



დანართი-დაგარგული სიტყვების აღდგენა(ნიმუში)

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი, მასში რაღაც სიტყვები დამალულია, შეეცადე აღადგინო ეს სიტყვები

თხა და გიგო

იყო ერთი _____ გიგო. ერთხელ თქვა: მოდი, ერთი თავს _____ ბეჯითობითაო. გამოვიდა სახლიდან, გამოიტანა თან _____ და გავიდა სოფლის მოედანზე. _____ იქ კუნძზე, დაიდო წიგნი მუხლებზე და შიგ ცქერა _____, ვითომ ერთი შემომხედეთ, რა _____ ბიჭი ვარო. წიგნი უკულმა _____, არ კითხულობდა და შიგ ტყუილად იცქირებოდა.

მალე _____ მოერია და თავს ასკილივით აქნევდა. ამ დროს მეზობლის თხა ფეხების _____ და წვერის _____ ბაკიდან გარეთ გამოვიდა. გიგოს თავის კანტური რომ დაინახა, თხას ეგონა, _____ მიწვევსო, გამოექანა, _____ რქებით, ყირამალა გადაატრიალა და ააღრიალა ჩვენი _____ გიგო.

ჩოჩორი და თხა

ჩოჩორმა მდინარეში _____ თხა ნაპირზე ამოიყვანა. თხამ კი საყვედურით _____, ჩოჩორი:

_რატომ ამომიყვანე?! განა, მე თვითონ ვერ _____?! ალბათ, გინდა ამით იტრაბახო და ქვეყანას მოსდო თხაზე _____ ვარო?!

თხის ნათქვამმა ჩოჩორს გული _____ და ამიტომ გაეცალა.

სახლში _____ ჩოჩორს არავისთვის არაფერი უთქვამს. გულში კი _____: რა სასიხარულო ყოფილა სხვისი _____.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არევამე მ. მწირი ლექსიკური მარაგის პრობლემის გადაჭრის გზები მოსწავლეებში – სავარჯიშოები მშობლებსა და პედაგოგებს <https://edu.aris.ge/news/mwiri-legsikuri-maragis-problemis-gadachris-gzebi-moswavleebshi-savardjishoebi-mshoblebsa-da-pedagogebs.html>
2. ბესელია ნ. პაპავა პ. წიგნიერება დაწებით კლასებში, მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო 2011.
3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2010;
4. დ. პერკინსის „თეორია ერთი“ (Perkins, 1992);
5. დოლიძე თ. სიტყვის კვალდაკვალ <http://mastsavlebeli.ge/?p=4620>
6. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ საქართველოს მაცნე 2007
7. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი <http://ncp.ge/ge/curriculum/satestoseqtsia/akhalisastsavlo-gegmebi-2017-2023>
8. ვებ პორტალები „კარგი სკოლა“ <http://kargiskola.ge>;
9. სამსონია ი. წიგნიერება (მასწავლებლის სახელმძღვანელო), თბილისი მწიგნობარი, 2013;
10. უზნაძე, დ. ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი 2005;
11. პაპავა პაატა. ჭანტურია თამარ, წიგნიერება (მასწავლებლის სახელმძღვანელო), თბილისი მწიგნობარი, 2012;
12. კვლევა <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/60296/kvleva-mostsavleta-14s-tsakitkhulis-gaazreba-minimalur-donezets-ar-sheudzlia>
13. ლომიძე ლ. გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე <http://mastsavlebeli.ge/?p=1431>,
14. სომხიშვილი ვ. საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრების სწავლება დაწყებით საფეხურზე <http://mastsavlebeli.ge/?p=4193>
15. ხონელიძე ლ. ლექსიკური ყულაბის გასამდიდრებლად <http://mastsavlebeli.ge/?p=13673>

რეფლექსია

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში ძალიან ხშირად ვაწყდებოდი მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ბავშვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რასაც ისინი სკოლაში სწავლისას იძენენ კითხვის უნარია, გაგება-გააზრება კი კითხვის ძირითადი დანიშნულებაა. გაგება-გააზრება არის იმგვარი სააზროვნო ინტერაქცია ტექსტსა და მკითხველს შორის, რომლის შედეგია ტექსტში მოცემული შინაარსის კონსტრუირება მკითხველის ცნობიერებაში. გაგება-გააზრების უნარის ნაკლებობა ხელს უშლის წიგნიერების დონის ამაღლებას.

დღეს სკოლის მთავარი დანიშნულებაა წიგნიერი თაობების აღზრდა, რადგანაც ქვეყანას სჭირდება კრიტიკულად მოაზროვნე ახალი თაობა. წიგნიერების დონის ამაღლება უნდა დავიწყოთ დაწყებითი კლასებიდან და მე მიმაჩნია, რომ სწორედაც მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებით.

გადავწყვიტე კვლევის ჩატარება, მაინტერესებდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო გაგება-გააზრების, როგორც პრობლემის გამომწვევი მიზეზები და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განმეხორციელებინა შესაბამისი ინტერვენციები. ამ საკითხთან დაკავშირებით გავეცანი შესაბამის ლიტერატურას, რაც დამეხმარა ცოდნის გაღრმავებაში, პრობლემის გადაჭრის გზების უკეთ დანახვაში. კვლევის მთავარ კითხვაზე: **როგორ განუვითარო II^o კლასის მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის კითხვისას გაგება-გააზრების უნარი?** ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ინტერვენციების დაგეგმვამდე, საჭირო იყო პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები ჩამომეყალიბებინა.

კვლევისთვის საჭირო მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენე, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: **დაკვირვება და დოკუმენტების აღწერა, სიღრმისეული ინტერვიუ დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან, ფოკუს ჯგუფი II^o კლასის მოსწავლეების მშობლებთან, გამოკითხვა-ანკეტირება II^o კლასის მოსწავლეებთან.**

ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ II^o კლასში ნამდვილად არსებობდა მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის ნაკლებობა, რომლის ხელის შეშლელ ფაქტორებად დასახელდა შემდეგი:

- მწირი ლექსიკური მარაგი
- ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენების არცოდნა

- მიწოდებული ტექსტის სირულე
- მშობელთა დაბალი ჩართულობა მოსწავლეების წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაში

დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები შემდეგი აქტივობებით „სიტყვების გამომძიებელი“ ,“დაკარგული სიტყვები“ ,“ვარაუდების ცხრილი“ ,“ვენის დიაგრამა“ ,“მოგზაურობა ზღაპრების ქვეყანაში“ ,“ექსკურსია ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში“. ყოველ სამშაბათს ეწყობოდა „ღია კარის დღე\ მშობლის დღე“.

ინტერვენციების შედეგების შესამოწმებლად გამოვიყენე ჩაღრმავებული ინტერვიუ მშობთან, მოსწავლეებთან ჩავატარე არა ერთი ტესტირება. შედეგებით აღმოჩნდა, რომ ყველა განხორციელებული ინტერვენცია წარმატებული და შედეგიანი იყო. მოსწავლეებს ნამდვილად განუვითარდათ ტექსტის გაგება-გააზრების უნარი და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, შევძელით მშობლებთან ერთად მუშაობა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

აღნიშნული კვლევის ანგარიში წარვუდგინე ჩემი კათედრის მასწავლებლებს, გავუზიარე ჩემი გამოცდილება. მათაც სურვილი გამოთქვეს კვლევა გაგებლდეს და შევისწავლოთ რა შედეგებს მოგვცემს განხორციელებული ცვლილებები სხვა კლასებში. კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია მოვაწყე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

ჩემი კვლევით ხელმძღვანელობა შეუძლია სკოლებს, რომლებიც ანალოგიური პრობლემის წინაშე დგანან და მისი გამომწვევი მიზეზებიც იდენტურია.

კვლევა დამეხმარა საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებასა და განვითარებაში,მოსწალეთა შედეგების გაუმჯობესებაში.

